ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. **ზოგადი ინფორმაცია:**

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შ.პ.ს. „ასპრია სიიდს ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის გამოსაცემად მომზადდა გენერალური დირექტორის ზაზა ჩხიკვიშვილის გადაწყვეტილების შესაბამისად. შ.პ.ს. „ასპრია სიიდს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულს 2010 წლის 2 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მის იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენს საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ამბროლაურის 166, კორპ. 6, ხოლო ფაქტიურს: კასპი, სოფ.კავთისხევი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს დამფუძნებელი ფრედერიკო რობერტი ედმონდი შავინი, 100 %-ნი წილის მფლობელი.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის ცვლილებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის წინასწარ განსაზღვრული შეფასებებისგან. კომპანიაში მიწოდებული პროდუქციის (გაწეული მომსახურების) ფასების ფორმირება ხდება ლარებში ფაქტობრივი ღირებულების მიხედვით; ან საშუალო საბაზრო ღირებულებით, რაც განსაზღვრულია მთავრობის მიერ. კომპანიის კომერციული ეფექტურობა და მომგებიანობა ძალზედ დამოკიდებულია ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ პროცესებზე.

2. **მომზადების საფუძველი:**

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მეორეა, რომელიც კომპანიამ ფასს-ის შესაბამისად მოამზადა.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2019 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერი” პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით, გარდა სმფ-ების რაოდენობრივი აღრიცხვისა.

(გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL”), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში, ლარში, რომელიც დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

(დ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.
შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.
ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე არის მოთხოვნების გაუფასურება.

(ე) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მის უნარსაც.
კომპანია ძლიერადაა დამოკიდებული დამფუძნებლის ფინანსურ მხარდაჭერაზე. კომპანიის ვალდებულებები ძირითადად დატვირთულია დამფუძნებლის შენატანებისგან, რომლის მობილიზება ხსება კომპანის საჭიროებიდან გამომდინარე, კომპანია საევე საგებლობს სს პროკედიტბანკის საკრედიტო ხაზით.
კომპანიის ძლიერი მხარეები: ძლიერი წარსულის გამოცდილება კერძოდ, უცხოლ მომწოდებლებთან ჩამოყალიბებული ხანგძლივი თბილი ურთიერთობები, საქართველოს ბაზრის კარგი ცოდნა.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებისას კომპანიამ იხელმძღვანელა შემდეგი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკით:

კლასიფიკაცია მოხდა მოკლევადიანი/გრძელვადიანობის მიხედვით

კომპანია წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც ეფუძნება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციას:

- თუ მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს;
- ინახება უპირველესად სავაჭრო მიზნებისთვის;
- თუ მისი რეალიზაცია იგეგმება, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში;
- ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები, რომელთა გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დაფარვისთვის არ არის შეზღუდული საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.
ვალდებულება არის მიმდინარე, როცა:

- მოსალოდნელია რომ დაიფაროს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს;
- უპირველესად სავაჭრო მიზნებისთვისაა;
- უნდა გადახდილ იქნეს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

თუ ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გადახდა შეზღუდული არ არის საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად მიიჩნევს.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე. შემოსავალი ფასდება ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი საკომპენსაციო თანხის საბაზრო ღირებულებით, კონტრაქტით განსაზღვრული გადახდის ვადისა და დასაბეგრი თანხის გათვალისწინებით. შემოსავლის მიღებისას კომპანია

ხელმძღვანელობს კონკრეტული კრიტერიუმებით იმისათვის რომ განსაზღვროს შემოსავალი, მიღებული ძირითადი თუ არაძირითადი საქმიანობიდან.

შემოსავალი გაყიდვებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება „კომპანიის“ მიერ შესაბამისი კანონდმებლობისა და რეგულაციების ფარგლებში მიწოდებული საქონლის ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯებსა და შემოსავლებს. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში დარიცხვისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდების გამოყენებით.

უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება-ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი და დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობები წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიური

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება - ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („GEL”). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება საშუალო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს კომბინაციებს, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, აგრეთვე, წინა წლის

საგადასახადო ვალდებუ ლების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდების გამოცხადებასთან დაკავშირებულ გადასახადს.
2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 აინვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.
მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას , როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.
თუ 2008-2016 წლების გაუნაწილებელი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში, მიმდინარე გადასახადზე ვრცელდება საგადასახადო, პროპორციული ჩათვლა.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდების გადახდით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული პირები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს; შესაბამისად არ წარმოიშვება გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების გარკვეული ჯგუფი წარმოადგენს მიწის ნაკვეთს და შენობა-ნაგებობებს, რომელთა რეალური ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოიცავს დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნას. შემფასებელია ის, ვინც ფლობს აღიარებულ, შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას და გამოცდილებას მსგავსი კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებისას.
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღების შემდეგ, რაც ძირითადი საშუალების გადაფასება მოხდა ფასს-ების დანერგვის თარიღით, ის აღირიცხება თვითღირებულების მოდელის მიხედვით, რომელიც გაწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში ბასს16- „ძირითადი საშუალებები“- თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები ბასს-16-ით აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
ბასს 16 -12 პარაგრაფით: ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, ძირითადად, მოიცავს შრომითი და სხვა რესურსების დანახარჯებს, ასევე მასში შეიძლება შედიოდეს მცირეფასიანი ნაწილების ღირებულება. ეს დანახარჯები ხშირად აისახება როგორც ძირითადი საშუალებების „რემონტი და მომსახურება“.

ბასს 16-11 პარაგრაფით: ძირითადი საშუალებები შეიძლება შეძენილ იქნეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან გარემოს დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქტივების შეძენა პირდაპირ არ უკავშირდება საწარმოს მიერ ამ აქტივების გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ეს აქტივები შეიძლება აუცილებელი იყოს საწარმოს მიერ სხვა აქტივებით ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ძირითადი საშუალებების ამგვარი ერთეულების აღიარება აქტივების სახით იმის გამო ხდება, რომ ეს აქტივები საშუალებას იძლევა, საწარმომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს სხვა აქტივებიდან, რაც შეიძლება არ მომხდარიყო ამ აქტივების გარეშე.
ბასს 16 -17-ე პარაგრაფით: აქტივის შეძენასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯების მაგალითებია: ე) ტესტირების დანახარჯები, რომელიც გაიწევა იმის დასადგენად, მუშაობს თუ არა აქტივი გამართულად, წმინდა ამონაგების გამოკლებით, რაც წარმოიშობა აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის პროცესში შექმნილი პროდუქციის გაყიდვიდან (მაგ., დანადგარის გამოცდისას გამოშვებული პროდუქცია);
ბასს 16 -55 პარაგრაფით: აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.
ბასს 16 -62 პარაგრაფით: აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ეს მეთოდები მოიცავს: წრფივი ცვეთის მეთოდს, კლებადი ნაშთის მეთოდს და გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდს. წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე, თუ არ შეიცვალა აქტივის ნარჩენი ღირებულება. კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენება იწვევს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთის გამოითვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობები	13-დან 50 წლამდე
მანქანა -დანადგარები და მძიმე ტექნიკა	5-დან 13 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	7-დან 11 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.
ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები (ბასს 38) თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ეს ღირებულება ბიზნეს - გარიგების დროს გულისხმობს მათ რეალურ ღირებულებას შეძენის დღეს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღიარდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მთელი თავისი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც ამის ნიშნები ვლინდება. ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივისთვის გადაიხედება სულ ცოტა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ცვლილებები სასარგებლო მომსახურების ვადაში ან აქტივში განივთებული მომავალ ეკონომიკური სარგებელში, აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის ცვლილებით, აისახება რა ეს საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებებში. განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიაში არამატერიალური აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება 15%-ით, მისი განუსაზღვრელი ვადა გადაიხედება ყოველწლიურად იმის განსასაზღვრად, აგრძელებს თუ არა იგი განუსაზღვრელი ვადით ფუნქციონირებას. თუ არ აგრძელებს, მაშინ სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვლება განუსაზღვრელიდან განსაზღვრულ ვადამდე სამომავლოდ.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება მიღებულ წმინდა სარეალიზაციო თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილი ან გასაყიდად არსებული ფინასური აქტივები.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური თვითღირებულებით, დამატებული გადარიცხვის ხარჯები, გარდა სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა.

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომლის დროსაც საჭიროა აქტივების მიტანა-ჩაბარება დროულად ბაზრის რეგულაციების მიხედვით, აღიარდება აქტივის გაყიდვის ან ყიდვის დღეს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში ან ზარალში

რეალური ღირებულების ფინანსური აქტივები მოიცავს გასაყიდად გამიზნულ და თავდაპირველად რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია გასაყიდად თუ ისინი შეძენილია გასაყიდად ან გადასაყიდად უახლოეს მომავალში.

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში ან ზარალში გადაიტანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალურ ღირებულებად, მასთან დაკავშირებული ცვლილების საფინანსო შემოსავლად ან ხარჯად აღიარებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიას ჯერ არ უღიარებია ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

კომპანია აფასებს გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს (დერივატივებისგან განსხვავებულს), რათა განსაზღვროს, მიზანშეწონილია თუ არა მათი გაყიდვა უახლოეს მომავალში. როდესაც კომპანიას არ შეუძლია ამ ფინანსური აქტივების გაყიდვა არააქტიური ბაზრის გამო და ასევე მენეჯმენტის განზრახვის გამო მისი გაყიდვის შესახებ უახლოეს მომავალში, რომელიც შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, ამიტომ იშვიათ შემთხვევაში კომპანიამ შესაძლოა ამ ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება გადაწყვიტოს.

სესხებად და მოთხოვნებად, გასაყიდად ან ვადამდე ფლობილ ფინანსურ აქტივებად რეკლასიფიცირება დამოკიდებულია აქტივის ტიპზე. ეს შეფასება გავლენას არ ახდენს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივზე საბაზრო ღირებულების მოდელის არჩევისას.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ii).ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საბანკო ოვერდრაფტებს, სესხებსა და კრედიტებს, ფინანსური გარანტიის კონტრაქტებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები

მოცემული ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გასაყიდ და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც აღრიცხულია თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (EIR) გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე საკომისიოების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ბასს 2 "მარაგები"-ს პარაგრაფ-9 ის თანახმად: სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანიაში სასქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება საშვალო შეწონილი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები

ფინანსური სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს დამფუძნებლების წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას, როდესაც დივიდენდი უკვე გამოცხადებულია. შესაბამისი ღირებულება აღიარდება პირდაპირ კაპიტალში. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით.

4. **მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებები და ვარაუდები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განსჯას, შეფასებებს, ვარაუდებს, რომლებიც ეხება შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებს, თანმხლებ ახსნა–განმარტებით შენიშვნებს და პირობით ვალდებულებებს. გაურკვევლობა ამ ვარაუდებისა და შეფასებების შესახებ, შესაძლოა, დასრულდეს ისეთი შედეგით, რომელიც მოითხოვს აქტივისა ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას მატერიალურ კორექტირებას მომავალში.

შეფასებები და ვარაუდები

ძირითადი ვარაუდები დაკავშირებული შეფასების გაურკვევლობის მომავალ ან სხვა მნიშვნელოვან წყაროსთან დასკვნის თარიღისთვის, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალური კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, აღწერილია ქვევით. გახადოს საჭირო მხრივ მომავალ წელს. კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდა. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალი განვითარების შესახებ შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ვარაუდებზე მაშინ, როცა ის იჩენს თავს.

5. **ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი**

რამოდენიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაცია ჯერ არ არის ამოქმედებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობაზე. „კომპანია“ გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე:

- 2014 წლის ივლისს გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-დან მოთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 01 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. „კომპანია“ აფასებს ფასს 9-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და IFRIC 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპები ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა და მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ უამრავ კომპონენტს. ფასს 15 მოქმედია

წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. „კომპანია“ აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი),IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა-სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შენაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებული, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). კომპანია აფასებს ფასს-16 გამოყენების პოტენციურ გავლენას.

6. ძირითადი საშუალებები

ღირებულება ან გადაფასებული თანხა

კომპანიის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო მიწები, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, აგრეგატები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სარწყავი დანადგარები, ვაგონები და ოფისის აღჭურვილობა. მათი ჯამური ღირებულებაა შეადგენს 2143315 ლარი, რომელთაც ყოველწლიურად ერიცხებათ ცვეთა და ბუღალტრულ პროგრამაში აისახება ნარჩენი ღირებულებით.

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება წარმოიქმნება მომსახურების/საქონლის მიყიდვისთანავე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

„კომპანიის„ საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია 18-ე შენიშვნაში.

9. კაპიტალი

ა) საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბ) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ის შესაბამისად.

2019 წლის მდგომარეობით „კომპანიას“ არ ჰქონია გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.

10. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებულ იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მოწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყონებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

„კომპანიამ“ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ფასის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელს.

„კომპანიის“ შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრი რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(გ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

(დ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო საქმიანობიდან.

სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის მიმართ „კომპანიის“ დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე.
„კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის“ სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის“ განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.
მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება „კომპანიის“ საბითუმო მომხმარებლებს. „კომპანია“ არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.
„კომპანია“ განსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის დადგენილი ზარალი, რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების სტატისტიკაზე დაყრდნობით.
ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვადაგადაცილებული თანხები, რომლებიც არ არიან გაუფასურებული კვლავ ამოღებადია, განვლილი წლების განმავლობაში გადახდების გამოცდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო მაჩვენებლებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით.
წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

(I) **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 38511 ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

(ე) ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის “კომპანიისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.
„კომპანია“ ყოველდღიურად იღებს ფულად სახსრებს თავისი მყიდველებისგან. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ „კომპანიას“ მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური ვალდებულების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორიც არის სტიქიური უბედურება.

(ვ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული პროდუქციის ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

(II) **სავალუტო რისკი**

„კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

(ზ) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(თ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს.

კომპანია ძლიერადაა დამოკიდებული დამფუძნებლის ფინანსურ მხარდაჭერაზე. კომპანიის ვალდებულებები ძირითადად დატვირთულია დამფუძნებლის შენატანებისგან, თუმცა მხარეებს არ გააჩნიათ ფორმალური შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს და სხვა პირობებს (სიმწიფის, საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით). აღსანიშნავია რომ აღნიშნული შენატანები ასახულია მოკლევადიანი ვალდებულებების ანგარიშზე, მაგრამ არ ხდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა. შესაბამისად აუდიტის პროცესში ვერ დგინდება რეალურად აღნიშნული შენატანები წარმოადგენს მიზნობრივ დაფინანსებას (კაპიტალის მუხლი) თუ სასესხო ვალდებულებებს.

11. **პირობითი ვალდებულებები**

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

12. **დაკავშირებული მხარეები**

ბასს 24 -დაკავშირებული მხარეების მიხედვით, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორის ფინანსურ ან ძირითად გადაწყვეტილებებზე. აქცენტი კეთდება ურთიერთობის არსსა და არა - სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა ერთმანეთთან დადონ გარიგება, რაც არ შეუძლიათ დაუკავშირებელ მხარეებს, ხოლო ტრანზაქციებზე დაკავშირებულ მხარეებს შორის, შესაძლოა, გავლენა არ მოახდინოს იგივე წესებმა და პირობებმა, რაც დაუკავშირებელ მხარეებს შორის მოქმედებს ხოლმე.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2019**	**31/12/2018**	**01/01/2018**

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	38511	104663	132483
სავაჭრო მოთხოვნები	9530839	4488207	639183
მარაგები	576348	397322	280635
მზა პროდუქცია	315291	117624	63285
სხვა	261057	279698	217350
ძირითადი საშუალებები	2143315	1678042	1804728
სულ აქტივები	**12289013**	**6668234**	**2857029**

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	1514404	1173755	613426
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	27728	21358	19358
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5118215	4051109	3845875
სხვა ვალდებულებები	1487395	1291990	1718608
სულ ვალდებულებები	**8147742**	**6538212**	**6197267**

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4141271	130022	-3340238
სულ საკუთარი კაპიტალი	4141271	130022	-3340238
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**12289013**	**6668234**	**2857029**

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**2019**	**2018**
ნეტო ამონაგები	8873975	7504406
საქონლის გაყიდვიდან	5023820	7480047
მომსახურების გაწევიდან	31638	24359
სხვა	3818517	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3855040	-5832736
საწყისი მარაგები	0	315911
საერთო მოგება	5018935	1671670
დასაქმებულთა ანაზღაურება	-111427	-1450
ცვეთა და ამორტიზაცია	-223468	-126686
საპროცენტო ხარჯი :	-100753	0
იჯარის ხარჯი	-100635	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-341381	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-877664	-128136
საოპერაციო მოგება	4141271	1543534
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4141271	1543534
მოგება/(ზარალი)	4141271	1543534
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	4141271	1543534
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	130022	-3340238
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-130022	1926726
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4141271	130022

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**2019**	**2018**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-66152	-27820
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-66152	-27820
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	104663	132483
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	38511	104663